## 14 აპრილი დედა ენის დღე!

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა. სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა რჩებოდა.

ქართული ენა კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს. კრემლის ინიციატივას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოყვა. 1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა.

პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია. ამ დღიდან 14 აპრილი დედა ენის დღედ გამოცხადდა.

## დავიცვათ ქართული ენა!

ქართული ენის სიწმინდის დაცვა ყოველი ჩვენგანის პირდაპირი მოვალეობაა.

ის რაც თქვენ შეგიძლიათ ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად არის სწორი ქართულით საუბარი.

ვიმეტყველოთ ქართულად და არ დავაბინძუროთ ჩვენი უნიკალური, მდიდარი ენა




„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“

გრიგოლ ორბელიანი

**ბარბარიზმი** ეს არის საჭიროების გარეშე ენაში შემოტანილი რომელიმე უცხო ენის სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მშობლიურ ენაზე.

კომპიუტერულ ტექნოლოგიების გამოყენებისას ქართულ ენაში დამკვიდრებულია

ინგლისურენოვანი ბარბარიზმები, რომელიც ლექსიკური თვალსაზრისით ენის გაღარიბებას უწყობს ხელს.

- ექაუნთი-ანგარიში
- ფეიჯი-გვერდი
- ფასვორდი-პაროლი
- გაშეარება-გაზიარება
- დაკლიკვა-დაწკაპუნება

- დაკოპირება-ასლის გაკეთება
- დალინკვა-ბმულის გაკეთება
- დაპეისტება-ჩასმა

- ლინკი-ბმული
- დასეივება-შენახვა

კლიკი-დაწკაპუნება
იუზერი-მომხმარებელი
დაუნლოუდი-ჩამოტვირთვა
დაფორვარდება-გადაგზავნა
დაქენსელება-გაუქმება
ფეიკნიუსი-ყალბი ამბავი
დრაივი-მუხტი
ივენთი-ღონისძიება
მანუალი-სახელმძღვანელო
მითინგი-შეხვედრა
ნიუსი-ცნობა
ედიტორი-რედაქტორი
ასისტენტი-დამხმარე

აფდეითი-განახლება
აფლოუდი-ატვირთვა
ბექგრაუნდი-ფონი
ბეიჯი-სამკერდე ნიშანი
ბუქმარკი-სანიშნი
დაედითება-ჩასწორება
ფაზლი-თავსატეხი
კოპირაიტი-საავტორო უფლება
სიმულაცია-თვალთმაქცობა
ვალიდური-სარწმუნო
ქვიზი-ტესტი
ინსერთ - ჩასმა

ლოგაუთი-სისტემიდან გამოსვლა



# დედა ენის ძეგლი

არა ბარბარიზმს!






14 აპრილი დედა ენის დღეა!

სსიპ ქალაქ წალენჯიხის N2
საჯარო სკოლის მე-6 კლასი